

რედაქცია

ბანაგის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის და ახ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ конторѣ редакціи газеты „Дროება“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება


მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

ქართულნი

განცხადებანი

ღიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა, დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.



გამოდის კვირარაობით, ოთხგაბათობით და პარასკეობით

ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

„დროებაზე“

მიიღება გაზეთის რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ახ. სტამბაში (ბანაგის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакціи газеты „Дროება“

ფასი	მთელი წლის გაზეთისა	8	—
	მქესი თვისა	4	— 50
	სამისთვისა	2	— 50
	მართის თვისა	1	—

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

საქართველო

საახალწლო

„მოველოცავს ახალი წელიწადი! მრავალ ამ დღეს დაგასწოროთ უფალმა! შევისრულდესთ ყოველი თქვენი კეთილი ნატურა და თავი-დამ ავაცილოსთ ყოველი ცუდი! ლხინი გემატოსთ, დარდი შეგემცირდესთ! ბული მხიარული მოგცესთ, ჯანი მთელი... მოველოცავს...“

ამაზე უკეთ, მგონი, რაჟველი მესაზანდრეც ვერ დაგლოცავდათ!

მსეც ერთი წელიწადიც კიდევ გავისტუმრეთ. როგორც ყოველ ახალწელიწადს შეეფერება, ეს გასული წელიწადიც ღიდი იმედებით დაგვებადა. მოველი ჩვენგანი, თუ რამდენიმესი არა, ერთი რომლისაზე ჰაზრისა და განზრახ-

ხვის შესრულებას მაინც აპირებდა, უეჭველად.

ჩინოვნიკი ამბობდა თავის გულში: წელს ახალი უფროსი მომივაო, ვეცდები როგორმე თავი მოვწონო, იქნება სამსახურში წინ წამწიოსო და ას-ოცი თუმნის მაგივრად, ორას ორმოცი გამიჩნდეს ჯამაგირიო.

მღვდელს ბლადოჩინობის ხარისხის იმედი ჰქონდა, დიკვანს მღვდლობის; კაპიტანს მაიორობისა, პოლკოვნიკს ლენერლობისა.

მაჰარი ამბობდა: ამდენ-და ამდენ საქონელს მოვიტან წელს ნისიათ მაკარიდამ ან „ზაგრანიციდამ“, გაეკოტრდები და ამდენი ათასი თუმანი შემჩრებო! მეორეს კიდევ თავის სახლის ანუ მალაზისს „უსაბედათ“ დაწვის იმედი ანუგეგმდა.

მეგაზეთე ხელის-მოწერლებისა

წადში უფრო მეტს სიამოვნებას და ბედნიერებას მოველოდეთ კერძოთ თვითოეული ჩვენგანი. მართალია, „მამ საგოდებელი რალა გვაქვსო?“ მკითხავ, ხომ?

სრულიად არაფერი, ერთის რამ გარდა, გიპასუხებ, ჩემო მკითხველო. კერძო ცხოვრებაში თითოეული ჩვენგანი ბედნიერია და ჩვენს ქვეყანას ამ მხრით სიხარბით უნდა შეტკერდეს მეროპის უმეტესი ნაწილი. აი მაგალითად, დღეს რომ დეკემბრის დამლევია, დღეს რომ მეროპის უმეტეს ნაწილში ხალხი სიცივით კვდება და ხელებს ორთქლით ითფობს, ჩვენში შემოდგომის ნაზი სითფო დგას, და ხე-ხილი ხელმეორეთ ყვავის. იმერეთში ტყეში დღეს იას ჰკრეფენ, და ახალი ტყემლის საწებელს ხმარობენ — ეს მართალია. ბუნებას ჩვენთვის არც ერთი მომხიბვლელი და სანატრელი თავისი სიკეთე არ დაუკლია. არც ჩვენთვის არა ვართ ზარმაცნი და უხერხონი. ჩვენი ხალხის ნიჭს, მოხერხებას, მეცადინეობას დღეს მტერიც და მოყვარეც ჰკვირობს. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ თუმც ჩვენ არც ბუნებას დაუფიქრებიათ, არც გონებას დაუფიქრებიათ, მაინც უკანასკნელი ევროპელი ხალხი ჩვენზე უკეთესათ და ხერხიანათ ჰაცხოვრობს, ჩვენზე უფრო სახარბელ მდგომარეობაშია...

და მკითხველების შემატების ნუგეშით სტკებოდა.

ძალის დედა ქალის გათხოვებასა და თავიდან მოშორებას აპირებდა. მაჰის მამა ამ ვაჟის რიგიანათ „დასახლებას“ და სხვ. და სხვ.

მართის სიტყვით, თითო განსაკუთრებული მიზანი ყველა ადამიანსა ჰქონდა და ყველა იმის შესრულებას წელს ჰფიქრობდა.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს თავის საწადელი ათასში ერთს ძელივს უსრულდება ხოლმე. მომეტებული ნაწილი კი ისე, მხოლოდ ცარიელი, აუსრულდებელი იმედით კვდება და წვება სამარეში.

მამ ნურც ამ ახლის, დამდეგი წლის იმედი გექნებათ მაინცა-და-მაინც მომეტებულად. შევლა თქვენი ნატურის შესრულებას და სენის განკურნებას ნურც წელს მოველით.

ბედნიერება იმ ზღაპრის კვერცხსა ჰგავს, რომელიც მიწაზე მიგოგავდა და რამდენიც კაცი უკან მისდევდა და უახლოვდებოდა ხელის სატაცებლად, იმდენი ის იქით იწვედა და შორდებოდა.

სწორეთ ესეთია ამ ქვეყნის ბედნიერებაც: გგონია—ჰა, ეს არის ესტაცე ხელი, დავიჭირე, ველირსეო, წელს უეჭველად შევასრულებ ჩემ წადილს, გავბედნიერდებიო, — და უეცრად ჰხედავ, რომ ჰუ! საღ! ათასს ვერაზე გაქცეულა ის დალოცვილი წინ და შენ კი უკან ჩამოჩრდილობარ! და-დალოცულ დაქანცული დგებარ და შეჭყურებ ამ შენ „ბედის კვერცხს.“ მაგრამ ადამიანის ხასიათის კეთი-

ლი მხარე ის არის, რომ რაც უნდა დავარდნილი და უღონო იყოს, მაინც კიდევ არ ისვენებს, მაინც კიდევ იმ „ბედის კვერცხს“ მისდევს, მაინც ნუგეშს, იმედს აძლევს თავის თავსა, რომ „არა უშავს-რა, ღმერთი მოწყალეა; დღეს არ იქნა, ხვალ იქნებო!“

და ამ იმედით ცხოვრებს კაცობრიობა; ეს უკეთესის ბედისა, უკეთესის მომავლის და ცხოვრების ნუგეში გვიდგამს სხეულში სულს, გვიმაგრებს ძარღვებსა და შრომისთვის, სიცოცხლისათვის გვაძინევებს..

ეს დღევანდელი „საახალწლო“ საუბარი იმ ადათური დალოცვითვე გავათავოთ, როგორცაღ დავიწყეთ; მხოლოდ ერთი ნატურაც უნდა დაუმატოთ: — მრავალ ამ დღეს დაგასწოროთ! შევლას თქვენი ნატურა და იმედები აგისრულოსთ!

აკისროლოსთ ყოველი ისეთი ნატურა, რომელიც, მარტო, კერძოთ თქვენთვის კი არა, ქვეყნისთვისაც, ხალხისთვისაც იქნეს სასარგებლო და სანუგეშო...

ს. ა.

დღიური

* * * შევეულებრივო მოძრაობა და ხალხის მხიარულება სჩანს ამ დღეებში ჩვენს ქალაქში. მიხეზი, რასაკვირველია, გასული და მომავალი დღესასწაულებია.

მლუბებში და კერძო სახლებში გაცხარებული მასკარადებია, საღამოები და ბალები. მსრედ-წოდებული მალალი საზოგადოება გულსმოდგი-

მეყოლება, ფეხებზე მკილია მისი სიმდიდრე და კეთილდღეობა... თუ კი ერთი ფეხი რომ გადამიბრუნდეს და მომაკედავთ ვეგლო, ვერავისგან ერთს ჭიქა წყალს ვერ მოველი, ამ გვარ საზოგადოებასთან ცხოვრებას მგლებთან ყოფნა მიჩრევიანო...

დღეს ჩვენ მართლა რომ ახირებულ მდგომარეობაში ვართ, და გაჭირვებულ დროებას მოვესწარი. რაც უწინ ჩვენი წინაპრების სარწმუნოებას და ზნეობით მცნებას შეადგენდა — ძმობა, ერთობა, ერთმანერთის დახმარება, ერთი საზოგადოებრივი საჭივენო გული, — ეს ყველაფერი დღეს უარსყოფი და დავიწყებული არის. ჩვენ როდილა გვწამს, რაც ჩვენს ძველებს სჯულის საფუძვლათ მიიჩნდათ, როდილა გვემინია მისი, რაც იმათ სულ ვნებებს ლავმავდა, როდილა გვენატრება ის სასყიდელი, რომლითაც მათი სარწმუნოება მათ სიკეთეს და ქველის მოქმედებას დეზავდა. დღეს დიდსა და პატარას ჩვენში ეს ყველაფერი „ცრუმორწმუნოებათ“, „მეტომათ“, „უმეცრებათ“ მიიჩნია. ამასთანავე ჩვენ არც ის ზნეობის მცნებები მივიღია, რომლითაც მეროპიელებმა განაახლეს თავიანთი ცხოვრება და ძველი რწმუნების მსგავსათ ალაგმეს კაცობრივი ბუნების მანვე ვნებები. დღეს თითოეული ჩვენგანი გამოდის ცხოვრებაში რო-

ფელტონი

საახალწლო გოდება

Печально я гляжу на наше поколѣнье...
ლერმონტოვი

„ზოდებაო, მერე საახალწლოო? ახალწელიწად დღეს ვის გაუგონია გოდების დაბედებაო?“ იფიქრებს გაცოცხლებული მკითხველი. „ახალწლის-დღეს ხერხიანმა კაცმა სამხიარულო რამ უნდა გვიკვლიოს, ოქრო, მყინვარე-შაქარი, თაფლი, ხილი, და არა გოდება ან ვაი-ვაგლახიო.“

სხვამ, ჩემო მკითხველო, რაც უნდა ის გიკვლიოს, რითაც უნდა, მით გამხიარულოს. მე კი, თუნდ უხეიროთ ჩამთვალო, გოდების მეტი საახალწლოთ არაფერი მაქვს სამკვლეველი.

იქნება შენს კერძო ცხოვრებაში — და ჩემსაშიაც — ბევრი რამ გქონდეს და მქონდეს სამხიარულო, სანუგეშო, სასიამოვნო. იქნება ჩვენს შრომას მატერიალური სარგებლობა მოეცანოს შენთვის და ჩემთვის, იქნება საზოგადოებაში მე და შენ წინაწინაუწყლო, ჯილდო მიგველო, სახელი გვეშოვნოს; იქნება კიდევ ჩვენს ოჯახობაში და ნათესავეებში საკმაო ბედნიერება და კმაყოფილება გვებოვოს შენც და მეც, — ეს ყოველივე „შესაძლებელია“. შესაძლებელია კიდევ, რომ მომავალ წელი-

შორანის

გამოწვევა თავად-აზნაურობისა და გლეხებისა) ამ დღეებში ჩვენს უფლებში ორს ალაგას იყვნენ შეკრებილნი მარშლი-საგან მოწოდებული ჩვენი თავადები და აზნაურები. შეხვედნის მარშალიმა გამოუცხადა მათ მოწერილობა უფ. ლუბერნის მარშლისა, რომლითაც იწოდებდა აზნაურობას, სურვილისამებრ, ლაშქარში წასასვლელათ. ლუბერნის მარშალი სწერს ქალაქში და უცხადებს მსურველ პირთა, რომ იქონიონ მათ დაშაჩები, ხმლები, სატყევეები, კარგი ტანისამოსი და კარგი ცხენები, და დღეის რიცხვიდამ მზათ იყვნენ ლაშქარში წასასვლელად. ამასთანავე ის სწერს უფლის მარშალს, რომ მოსურნე პირთა სია შეადგინოს და მას წარუდგინოს.

უფლის მარშალიმა შეკრებილ თავად-აზნაურებს ელაპარაკა სლავიანების მდგომარეობაზე და აუხსნა ისიც—თუ რა მიზეზით ხდება ომი. მსურველების რიცხვი ბევრი აღმოჩნდა; მაგრამ უმეტესი იქმნებოდა კიდევ, რომ ყველას ჰყავდეს ცხენები და ჰქონდესთ კარგი შეძლება. ლუბერნის მარშლის ქალაქში სრულებით არა არის რა თქმული: ეს ომში წასვლის მსურველნი პირნი თავის ხარჯით უნდა იქმნენ, თუ რამე ექნებათ მათ დანიშნული სახელმწიფო.

უფლის უფროსებსაც მოუვიდათ მმართველობისაგან განკარგულება, რომ ას გლეხზე ორი კაცი გამოიყვანონ ომში წასასვლელად. ეს მმართველობის განკარგულება გამოუცხადეს სოფლის მოხელეებს. გლეხებმა გაიგეს თუ არა ეს, ას გლეხზე უნებურათ ორი კაცის გამოყვანა კი არა, თავის ნებით ოცი კაცი აცხადებს სურვილს. ძლიერ მაკვირვებს ჩვენი გლეხების მოქცევა: თუ ამდენი მსურველი გამოვიდოდა მათში, ომში წამსვლელი, მე არ ვიფიქრებდი.

გიერთები ამტკიცებდნენ, რომ ეს „წერილები“ დრო-გამოშვებით ნუ გამოიცემაო, როცა საკმაო მასალები მოგროვდება, მაშინ გამოვიდესო; ზოგნი კი ამის წინააღმდეგ ამტკიცებდნენ. ძრებამ გადაწყვიტა, რომ ამ საგნის გასარჩევად ოთხი კაცისაგან კომისია დანიშნოს.

ხსენებულნი „წერილების“ რედაქტორად ერთ წასულ სხდომათაგანში კრებამ უფ. შუკოვი ამოირჩია.

* * * ამ უკანასკნელ ხანებში ცეცხლი ისე ხშირად აღარ გვეწვევა (ან აღარ ვხატავთ), როგორც აღრე; მხოლოდ გასულ 27 დეკემბერს თ. ივ. მუხრანსკის სახლში გაჩნდა, თუმცა ბევრი ვნება ვერც იქ მოიტანა. ცეცხლი, როგორც ამბობენ, პირველად მეშლიავე მილნერის მალაზიაში გაჩენილა. სულ თავის ბრალი ყოფილა: გამოშტატა ოთახში, მილნერის ცოლი უკან გამოსდგომა, ლამისთვის წაუკრავს უსაბედად ხელი, წაქცეულა (ლამა და არა მადამ მილნერი), ნავთი პოლს მოსდებია და ცეცხლი გასჩენია; მალაზიიდან ცეცხლი ორ სხვა გვერდით მალაზიებსა და ზემო ეტაჟაში, საცა ვაჭრების კლუბია, გვერცელებულა. სულ სამი მალაზია დაიწვა და კლუბის ზალაც ისე გაფუჭებულა, რომ პატივცემულ ვაჭრების ცოლებს, ამბობდნენ, ამ ზამთარს ტანციობა არ ელირებათო...

* * * ჩვენ მივიღეთ ბორიდან ამბავი, რომ იქაურ შალაქის რჩევას გასული თვის 16-ს ჰქონია სხდომა, რომელზედაც შალაქის მაშველების წევრებად ამოურჩევიათ უ. უ. აღალო ოთაევი და ივანე აშირალოვი.

ფულის ანგარიშისათვის. ღღემლი ერთი მარტივი რწმუნება შერჩნობდა ჩვენს ხალხს—მეცნიერების პატივისცემა, სწავლის ყურისგდება, ის რწმუნება, რომ სწავლა და მეცნიერება აკეთილშობილებს და აპატიოსნებს კაცს. ჩვენს ხალხს, რომელიც აღაფერს ენდობა და არაფერს იჯერებს, ღღემლი სწავლა მაინც სწამდა, მეცნიერების მაინც ერიდებოდა. ამ ძვირფას რწმუნებას, ამ წმინდა და მომავლიან გრძობას ძირი გამოაცალა და ბოლო მოუღო ანდრეევსკის ქალის დახრჩობამ...

მართალია, სხვაგანაც მომხდარა ამ გვარი საზარელი მოქმედება, სხვაგანაც ნასწავლს კაცს მოუკლავს ვინმე. ბანათლებულს საფრანგეთში ლაპორე დოქტორი იყო, მაგრამ მეცნიერებამ იმას არ დაუშალა ქალის მოწამულა. რუსეთში დანილოვიც სტუდენტი იყო, მაგრამ იმანაც კაცი მოკლა. მაგრამ იქ ეს მარტივი, კერძობითი მოვლენა იყო, ამიტომ რომ ყველა მეცნიერებამა საფრანგეთში, როგორც რუსეთში, ზიზლით და დაუზოგველათ გაჰკიცხეს და დადაგეს ამ გვარი დამნაშავენი. იქ მათთვის თავი როდი ვისმეს გამოუდგია, მათთვის ფული როდი ვისმეს დაუხარჯავს, და მათი დანაშაულობა, მათ გარდა, არავის სცოდნია და მათთან არავის განუზრახავს. ჩვენში კი რამდენმა გამოიღვა თავი,

რილობა მოუვიდაო, რომ ქალაქმა 8,000 კაცი სალდათი უნდა დააბინავოსო. მაშველბას იმწავსვე ყოველი ღონისძიება მიუღია, რომ ეს მოთხოვნილება ბეჯითად და მსწრფლად აღესრულებინა.

ამავე გაზეთის სიტყვით, შუროის დრუჟინას გარდა, იმერეთში კიდევ 2,000 კაცი უნდა მოაგროვონ.

* * * მასულ ორშაბათს, ქრისტეშობისთვის 27-ს, თფილისის საქალებო გიმნაზიაში იყო კრება იმ ახლად დასაარსებელი საზოგადოებისა, რომელმანც თფილისის საქალებო სასწავლებლების ღარბ შაგირდების დახმარება იკისრა. ძრებაში სამოც-და-ათამდე პირი დაესწრა; ამოარჩიეს კამიტეტის თავმჯდომარედ—თ. რ. ი. ანდრონიკოვი, ამის თანამემწედ—ა. ს. ტილიზინი, კამიტეტის წევრებად: თ. დ. დ. ჰორჯაძე, თ. დ. ა. სუმბათოვი, მ. დ. თულაშვილი, ქალები: დე-მიტტი, ალოპეუსისა და მ. შაზიბევისა.

* * * „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილის განცხადებდამ ვტყობულობთ, რომ მომავალი წლიდამ „ქავკაზის“ რედაქტორად იქნება ნ. ნ. შორანოვი.

* * * მასული ქრისტეშობისთვის 23-ს ქავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში (რომელიც ამ უკანასკნელ დროს როგორღაც ერთობ მიჩუმდა) იყო კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, ახალი სეკრეტარი ამოირჩიეს უფ. ი. ს. ხატისოვი გამოჩენილი სიტოკესკის მაგისტრად.

ამას გარდა ამ სხდომაზედვე საზოგადოების „წერილების“ გამოცემასზედ იყო მოლაპარაკება. ზო-

ნეთ დაიარება და მხიარულებს ამ მასკარადებსა და ბალებში... შუჩებში ზურნის ხმა დილიდამ სალამოდინ და სალამოდამ დილამდინ. შაუწყნარებელი რახა-რუხი ფეტონებსა; სამსამი კინტო ერთად სხედან და მიაქანებენ...

მაგრამ ეს შორსტეს შობისა და ახალწლის დღესასწაული ჩვენს ქალაქში ისეთის ვაი-ვაგლახითა და მხიარულებით არ ჩაიგლის ხოლმე, როგორც ნათლისდება დღე, რადგან სომხური, რომელიც აქ მცხოვრებლების მომეტებულ ნაწილს შეადგენენ, შორსტეს შობასაც ამ ჩვენს ნათლილება დღეს დღესასწაულობენ. მთვრალეების ყაყანი, მუშტი-კრივი, დალურჯებული პირისანებები, ლაზათიანი, თფილისური ლანძღვა-გინება, ყველა ესენი აუცილებელ კუთვნილებას შეადგენენ ყოველ ამისთანა სახალხო დღესასწაულებისა და ახლა აქაც საკმაოდ არის...

* * * ღღევანდელს ჩვენი გაზეთის ნომერში დაბეჭდილია შვირილიდამ მიღებული კორესპონდენცია, რომელშიაც მკითხველი ნახავს რამდენსამე საინტერესო ამბავს შესახებ თავად-აზნაურობისა და გლეხების ლაშქარში გამოწვევისა.

შუთაისილამ გწერენ, რომ ამგვარივე განკარგულება შუთაისის ლუბერნის სხვა უფლებების უფროსებსა და მარშლებსაც მოსვლიათ; მაგრამ თავის ნებით ლაშქარში წასვლის მსურველნი ცოტანი ჩნდებიანო, რადგან მომეტებულ ნაწილს ხარჯის ერიდება და ბევრს (რეგიანი თოფიარადი, ტანთსაცმელი და ცხენები აკლიაო...

ამ საგნისავე თაობაზე „თფილისის მოამბეში“ იწერებან შუთაისილამ, რომ აქაურ შალაქის მაშველობას, უ. ლუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისაგან მოწვე-

გარშემო ისეთი პირნი ვეახვევიან რომელსაც არაფერი დაუშლის ჩემ გაცარცვას, შექმას, დახობას, დარჩობას? თუ კი ვერვის დავენდობი, ვერვისზე იმედს ვერ ვიქონიებ, ვერვისგან შემწეობას ვერ ვეღირსები გაჭირვების დროს?

✕
წარსული წელიწადი ჩვენს ქვეყანაში სწორეთა ამით არის საგოდებელი და შესანიშნავი, რომ იმან ცხადათ და საშინელი სახით დაგვანახა ეს ჩვენი საზოგადო სენი, ეს ჩვენი უბედურება. შუინ ამ გვარივე უხეირობებში ჩვენ კერძო მოვლენათ გვეჩვენებოდნენ, იმგვართ, როგორიც ყოველგან მოხდება ხოლმე. შარშან კი ეს მოვლენები ჩვენ წარმოგვიდგნენ სხვა და სხვა სფერებში, და მერმე ისე, როგორც საზოგადო მოვლენა, და არა კერძობითი. მოდი, და ნუ იგოდებ შენ, მოდი და მიყნვარე მაქრით ან ფორთოქლით გაიქარწყლე ამ გვარი სიმწარე!

✕
რას მოვესწარით ჩვენ შარშან? სამს სრულიად მოულოდნელს, უმველებელს და დამხობელს მოვლენას... ✕
პირველი მოვლენა, ყველაზე უფრო უმცირესი, ის იყო, როცა უმალღესი სწავლის მიმდებამა კაცმა იკადრა, როგორც ზოგიერთნი ამბობდნენ, უმანკო სისხლის დანთხევა—უმანკო ქალის წახრჩობა—მარტო პირადი სარგებლობისათვის, მარტო

გორც ველური მხეცი, რომელსაც არაფერი სწამს, არაფერი ამოქმედებს, არაფერი მიიზიდავს, გარდა მისი საკუთარი მადისა და ქეთისა. თუ მოგვმივდა, მეგვიძლიან საკუთარს ძმას ცხვირი, მოგვენიტოთ და საკუთარი შეიღის ხორცი შევსჭამოთ, ამიტომ რომ ჩვენში არაფერი ღამავს ჩვენს მადს, აღარაფერი გვასწავლის მოთმენას, სიმწრის ატანას, არაფერი გვეუბნება, რომ ის ქმნილება, რომლის ხორციით ჩვენ გავძლომას ვაპირებთ ჩვენი ძმამა, ხორცი ხორცილად და ძვალი ძვალთაგან ჩვენთა. ✕
თუ ჩვენი წუთიერი მადის დაკმაყოფილება მას სანიღაგო ტანჯვას მიაყენებს, ამას ვინ კითხულობს? მექე რა მენაღვლებო! მს აზრი:—დღეს მე დაუთმობ სხვას, ხვალ სხვა მე დამითმობსო,—ჩვენ თავში როდი მოგვდის სხვისი დაჩაგვრა რომ შემდეგში ჩვენვე დავჩაგვრავს, და ჩვენვე მოგვეკითხება—ეს აღარავის ახსოვს. მითილა ლაგამი დაგვჩენია—სისხლის სამართლის შიში, სიმბირის მორიდება,—და თუ კი ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სიმბირში არ დავიკარგებთ, ყველაფერს გავბედავთ, ყველაფერს ვიკისრებთ, თუნდ კაცის მოკვლაც რომ იყოს...

✕
ამას შქვია ორი სახელი: „ხალხის ზნეობის დაცემა“ და „ქვეყნის დამხობა“. რათ მინდა ბირადი კეთილდღეობა, სიმდიდრე, პატივი, თუ კი

რამდენმა იქადაგა ტყუელიაო, არ მოუკლავსო, და თუნდ მოეკლას, რა უყოთო, მაინც არ უნდა ეთქვათო! ამით ზნეობითი ჩირქი დავდვა მთელს იმ საზოგადოებას, რომელიც მისთვის სცდილობდა, რომელიც მის გულისთვის ქადაგებდა და თავს იკლავდა... ✕
შვეყანაზე იმისთანა საზოგადოება არ მოიძიება, რომელშიაც ერთი ან ორი, ან ოცი ცუდი კაცი არ იპოვებოდეს. მაგრამ ხეირიან საზოგადოებაში, როცა რომელიმე მისი წევრი ცუდს რასმე იმოქმედებს, დანარჩენები თვითონ სდვენან და ლაფს ასხმენ ამ გვარ წევრს, ავდებენ იმას საზოგადოებისაგან, გამოაშკარავენ მის ცუდს, და მარტო ამნაირი მოქმედებით ამ წევრის ჩირქი არ მოეღობა მთელს საზოგადოებას. ის საზოგადოება, რომელიც თავისი წევრის ცუდს მალავს და აფუჩჩებს, თავის თავზე ყველა თავის წევრებზე იღებს მის ჩირქს და სიგლახეს. მსლა მიბრძანეთ, როცა ერთმა ან ორმა განათლებულმა კაცმა კაცი მოკლა, დანარჩენებმა რა ჰქნეს? მინ გაჰკიცხა მათი მოქმედება, ვინ ჩაუდგა კვალში მათ სიგლახეს, ვინ ააცილა მთელს ახალგაზრდობას დამნაშავეების და კაცის მკვლელობის ჩირქი?—მითმა თუ ორმა. დანარჩენები კი ჰქადაგებდნენ კარის კა-

შესამჩნევი განსხვავება სხანს გლეხებსა და აზნაურებს შუა: ის მამაცობა, რომელიც წინეთ ჩვენ ძველ აზნაურობაში ყოფილა, დღეს გლეხებში გადასულა. ჩვენი ხალხი რომ ავარჯიშოთ თოფის და სხვა იარაღების ხმარებაში, ვინ აჯობებს მას ჩხუბში?

ხმა არის აქ დაყრილი, რომ რვაას კაცამდისინ შვირილაში იქმნება ჩვენებური ახალი ჯარი დაყენებული გასაწოთენელად, ვიდრემდის საჭიროება არ მოითხოვს მათს ომში წაყვანას.

ჩვენში ხალხი სრულებით არ არის შეზინებული ომის მოლოდინებისაგან. შბრალთ კაცი, რომელიც სულ არ ყოფილა ჯერ ომში, ისე არხენათ აწერს ომში წამსვლელების მსურველების სიაზედ ხელს, რომ ვითომ აქ არაფერი იყოს.

ჩვენს უფელში არიან იმისთანა პირები, რომელთაც სამხედრო ტანისამოსი უყვართ, მხრებზე ეპოლატები; მაგრამ არც თავის თბილი კერის მოცილება სურსთ! ხალხს ეგონა, თუ ამისთანა პირები პირველ გამოცხადებაზედვე წავლენო, მაგრამ ჯერ ძლიერ მაგრათ არიან!...

ბოლოს მასწავლებელი შვირილა, დეკემბრის 21-ს

უცხო ქვეყნები

ომის სამმა

ამისთანა დახლართულს, გამოუკვლეველსა და უაზრო მდგომარეობაში მერობა ძალიან იშვიათად ყოფილა. ეს თითქმის ორი თვე გდის, დღითი-დღე, ყოველ საათს, ყოველ მინუტს მოვლიან ომსა; თითქმის ყველა სახელმწიფო საომრად ემზადება: არის ერთი გაცხარებული მოკრება და წრთვნა ჯარისა, გაცხარებული მუშაობა არსენალებში და ქარხნებში, ზარბაზნებისა და სხვა საომარ იარაღების კეთება, მზადება სამხედრო

რამდე „არაფერიაო, ტყუილიაო, რა უყოთო, სსსუო!“

ამ შემთხვევას რა გავლენა ექნება ჩვენი ხალხის ზნეობაზე და მის გონებაზე, ამას ჩვენ ამ ხუთს-ექვს წელიწადში დავინახავთ. და მაშინ კი გავიკვირდება — რამ წაბილწა ჩვენი ხალხი, რამ წაუხდინა მას ნდობა, რწმუნება და მეცნიერების მორიდება!

მეორე უფრო შესამჩნეველი მოვლენა, უფრო ხანგრძლივით მავნებელი, აი რა იყო:

შარშან ბანკების და აზნაურობის კენჭის ყრის დროს, ჩვენმა საზოგადოებამ პირველათ დაინახა საქმეში ჩვენი ვითომ ახალი თაობა, და ეს თაობა წარდგა საზოგადოების წინაშე მეტის მეტათ ბნელი მხრით.

მის მაგიერ, რომ იმას თვალი აეხილა გაუნათლებელი და უმეცარი ხალხისთვის, მის მაგიერ, რომ იმას ესარგებლებია საქვეყნო ყრილობით ხალხის გონების ასამალელებლათ, მის მაგიერ, რომ იმას ეძებნა მარტო საზოგადო სიკეთე, პირადი სარგებლობის დავიწყებით, ამ თაობამ დაივიწყა ყველაფერი, რასაც უწინ ამბობდა. იმან ისარგებლა საზოგადო უმეცრებით, და თვალი აუხვია უიმისოთაც დაბნელებულ ხალხს. პირველი მისი საქვეყნო სიტყვა, პირველი დარიგება, რომელიც იმან ხალხს მისცა — იყო:

„ნურავის ალაპარაკებთ, ნუ განსჯით

სურსათისა, ჯარის გადაყვან-გადმოყვანა და სხვ. და სხვ.

შოველ დღე სხვა და სხვა გვარი ამბები მოდის სტამბოლიდამ, სადაც უნდა გადაწყდეს, ამ ქამად: იქნება ომი, თუ არა. მრთ დღეს მიღებული დეპეშა გვეუბნება, რომ რუსის ელჩი ლენერალი იგნატიევი და ინგლისის მარკიზ სალსბიური დათანხმდნენ ერთმანეთში და იმედი არისო, რომ ყველა უკმაყოფილება მოისპობა და ომი აღარ იქნებაო. მეორე დღეს ესევე ტელეგრაფი გაცნობებს, რომ მეორე ელჩი ინგლისისა — ჰენრი მლიოტი სულ წინააღმდეგად მოქმედობს მარკიზ სალსბიურისა და სხვა კონჭერენციის წევრებისა და საშიში მდგომარეობა არისო. მესამე დღეს მოდის ამბავი, რომ მსმალოს მთავარი ვეზირი მიტჰატ-ფაშა კი გუნებაზედ არის და, უეჭველია, საქმე ომამდინ არ მიაწევსო. მეოთხე დღეს გვეუბნებიან, რომ მსმალო არაფერს არ უთმობს, არაფერზე არ ეთანხმება მერობის უმთავრეს სახელმწიფოების წარმომადგენელთ და საფიქრებელია, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ომი გამოცხადდეს რუსეთსა და მსმალოს შუაო და სხვ. და სხვ.

როცა პოლიტიკური მდგომარეობა ესეთია, მაშინ გარდაწყვეტით თქმა — რომ ომი იქნება, ან არ იქნებაო, ძალიან ძნელია, ძნელია თვით იმათ მხრითაც, ვისგანაც ეს ომის საქმე პირ-და-პირ დამოკიდებულია.

მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში საქმე ისეთნაირად მიდის, რომ ახლა უფრო მომეტებული შიშობაა: სტამბოლის კონჭერენციის წევრების თითქმის ყველა წინადადებაზე მსმალოს წარმომადგენლებს — სეფეტ-ფაშასა და მიტჰატ-ფაშას უარი უთქვამთ. „არ შეგვიძლიან, რომ ბოლგარიაში

საქმეს, ნურაფერს დაიჯერებთ, რაც ჭკუაში მოსასვლელი იყოს, ან რაც დაინახათ. თქვენ ხართ ძალა, უმრავლესობა თქვენია, იხმარეთ ეს ძალა; რისი ცოდნა, რისი ჭკუა, რისი გამჭრიახობა: კენჭი და მისი ძალა! ჩვენთანა არს ღმერთიო!“

აი, ეს გახლდათ ის ახალი სიტყვა რომელიც ჩვენი ხალხის ცხარებაში შეიტანა შარშან ჩვენმა ვითომ ახალგაზდობამ. ძალით, უმრავლესობით, ხანჯლებით მოინდომა იმან სიმართლის ვათელა, სწავლის დაზოება, უმცირესობის ალაგვა, იმ უმცირესობის, რომელსაც მარტივ იარაღათ ჰქონდა შეგონება, გაფრთხილება და საზოგადო სიკეთე. ძალა იხმარა ამ ვითომ განათლებულმა ვითომ ახალგაზდობამ ჭკუის წინააღმდეგ, როცა დაინახა, რომ ვერ შეეძლო მოაზრების მოაზრებით მოგერება, ვერ შეეძლო თავის სარგებლობის დაცვა ცოდნით, ჭკუით და გონიერებით. ეს ჩირქი, ეს სიგლახე იმას სამუდამოთ შერჩება, და საფლავშიაც ჩაჰყვება.

ამას გარდა, ესევე ვითომ განათლებული ვითომ ახალგაზდობა ერთ სამრანის გზას დადგა.

იმან დაინახა, რომ ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობა უმეცარია, რომ ეს უმრავლესობა უძლურია თავისი უმეცრებით, და თვითონ ამ ვითომ ახალგაზდობას კი ხელში ზოგიერთი საჭირო სერებები უკავია, მა-

რომლისამე უცხო ქვეყნის ჯარის ჩაყენების ნება მოგცეთო. არ შეგვიძლიან, რომ სერობას ანუ ჩერნოგორიას რომელიმე მიწა ანუ ქალაქი დაუთმოთო. არ შეგვიძლიან, რომ რომელსამე ჩვენ ხელ-ქვეით მყოფ ხალხს სრული თავისუფლება მივანიჭოთო. ჩვენ გამოვეცით კონსტიტუცია, რომელიც საერთოა ყველა ჩვენი ქვეშევრდომებისათვის, რომელიც ყველას თანასწორსა და ერთნაირ თავისუფლებას მიანიჭებსო და ამით უნდა დაკმაყოფილდნენო.

„შველა თქვენი მოთხოვნილება რომ შევასრულო მეო, უთხრა თურმე სულთან აბდულ-ჰამიდმა მარკიზ სალსბიურის ამას წინეთ, უეჭველია, ჩემი ქვეშევრდომი ოსმალები იმწამსვე გადამაყენებენ ტახტიდამ და მომკლავენო!“

„თქვენი სურვილის შესრულება და საშინელი რევოლუციის მოხდენა და დაღუპვა მსმალეთისა ერთი იქნებაო,“ სთქვა მიტჰატ-ფაშამ კონჭერენციასზე. „ისევე ომს ვამჯობინებო, განაგრძო იმან, რაც იქნება — იქნებაო!“

ამ ქამად მხოლოდ ერთი შეიძლება დარწმუნებით სთქვას კაცმა: რომ მსმალოს, უეჭველია, ინგლისის იმედი უნდა ჰქონდეს, თორემ კონჭერენციის ყველა წევრები რომ თანხმობით იდგნენ ერთს რაზედმე და ერთად მოსთხოვენ იმის ასრულებას მსმალეთსა, რაღა თქმა უნდა, რომ ის ასე ამაყად ვერ მოიქცეოდა და ასე მტკიცედ ვერ დასდებოდა თავის გადაწყვეტლებაზე. ამბობენ, ჰენრი მლიოტსა საიდუმლო მიწერ-მოწერა და დარიგება ჰქონდა ინგლისის ახლანდელ სამინისტროსთან და

გალითად უსტაყების ცოდნა, რუსული ენის გაგება და სხვ. „ვისარგებლოთ ამ ჩვენი მდგომარეობით, მოგახვენოთ საზოგადოებას და ხალხს, ვითომ ჩვენ დიდი რამ მეცნიერება და უმეცლებელი, მიუწვდომელი რამ სერებტი გვიმოგია, ისეთი, რომელიცაც ხალხი ვერ მიწვდება თავის ჭკუით, და ეჭამოთ პური ამის შემწეობით. და ორშაურთან შრომისთვის, სრულიად უბრალო აზრისთვის იტაცვენ ვაება ჯამაგირებს, უმეცლებელ ადგილებს და თითქმის საშვილიშვილოთ იმკვიდრებენ საზოგადოების შემოსავალს და სიმდიდრეს.“

ეს იყო, განა, ის უანგარო სამსახური, რომელსაც ჩვენი თაობა ჰპირდებოდა ჩვენს ხალხსა და ქვეყანას? ეს იყო განა ჩვენი „მამულისი ერთგულება“, მამულისთვის თავის დადება? იმისთვის გამოვიზარდეთ, განა, რომ ჩვენი მებეგრეთ გავცეხადა ჩვენი ღარიბი და უძლური ხალხი, რომ მისი უმეცრებით გვესარგებლებია, მისთვის თვალი აგვეხვივნა, მისთვის ორი კაპეკის შრომა გერკულისის ჯაფათ მოგვეჩვენებია, და ოცი თაბახის გადმოწერისათვის უფრო მეტი სასყიდელი გვეთხოვა და მიგველო, ვინემ ღვით აღმაშენებელს, თამარ დედოფალს და მეფე მრეკლეს მიუღიათ მათგან ამალელებულ და სახელ-განთქმულ ხალხისაგან!

ის ამხნეებდა მსმალოსაო, სალსბიურის გაგზავნა კი კამედიო, იყო მო, რაც უნდა მოხდეს, ინგლისი თქვენს დღეში არ მოიტოვებს მსმალოს უპატრონოთ და არ ჩაუგდებს რუსეთს ხელშიო.

შვირლები

შუალო რედაქტორო!

ბოხოვთ ამ განცხადებას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ათას რვაას სამოც-და-ცამეტსა წელსა დ. მსს იყო შედგენილი სია, რომლითაც იკრიებოდა შესაწევარი ფული მინიყელების სასარგებლოთ, რაზედაც მოაწერეს ხელი ბევრმა; მაგრამ ზოგიერთმა პირმა თავის ღროზედ არ შემოიტანეს მხვედრი ფული, რომლის გამოისობითაც შემოტანილი ფული დარჩა ჩემთან გაუგზავნელი და რადგანაც ახლა ეს ფულები აღარ ირის საჭირო იმ მიზნისათვის, რისათვისაც იყო მოგროვილი, ამისათვის ვთხოვ უფალთ ხელის-მომწერლებს, რაც შეიძლება დროთი განაცხადონ — ვისაც სურთ მიღება უკანვე თავის ფულისა ანუ განაცხადონ — ვის როგორ სურთ მოხმარება ამ ფულებისა.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ, თუმცა ამ მოკლე ხანში არ შემატობინეს ხელის-მომწერლებმა თავიანთი აზრი, მაშინ შეკრებილ ფულს, რიცხვით 48 მანეთს და 95 კაპეკს, გავგზავნი სადაც ჯერ არს, სერბიელების სასარგებლოთ.

დამიტარი ხომშიევი

დ. მსი, ქრისტიანობისთვის 26.

ჩვენი თაობა შერცხვა ხალხის წინ, შერცხვა მით, რომ გამოდგა ხალხის უმეცრების ექსპლუატატორათ, ხალხის უძლურებით მსარგებლოთ... როდის დაიბადება ახალი თაობა, რომელიც ხალხს დასტრუნებს ძველს რწმუნებას სწავლის უანგაროებაში, გარდუნდის ეხლანდელს მის გაცარცვას, გაანთავისუფლებს შარშანდელის დაბრმავებისაგან? მინ იცი! ის კი კარგათ ვიცი, რომ მაქნამდი მტკვარში და რიონში ბევრი წყალი ჩაივლის!

მესამე, უფრო უსამინელესი მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ შარშან ჩვენი სოფლის ხალხი, ჩვენი გლეხ-კაცობა გაჭირვებაში იყო, და ამ გაჭირვებაში ცმატურებდა გამწარებულიათ...

ამ გამწარებაში და გაჭირებაში იმისთვის ხელი არავის გაუწყვია, ჩვენი ახალ თაობისგან, მისთვის არც დარიგება, არც დახმარება, არც შევლა არავის მიუწოდებია... ამით ხალხსა და ნასწავლებებს შუა უფრო და უფრო დიდდება და ღრმავდება გამყოფი თხრილი, და უფრო და უფრო იკარგება მამაპაპობრივი ერთობა მინ ისარგებლებს ამით? მის დააკლდება ეს?...

შბა ეხლან მითხარით, მკითხველო, ჩვენი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის საგოდებელი გქონია რამ საახალწლოთ, თუ სასიხარულოთ? 6. ნიკოლაძე

ამბობენ, რომ ერთ დიდ კაცს, რომელსაც უკანასკნელ დროს შესამჩნევი აღმზრდელი მიეცა, იქ, სადა ის იმყოფება, ტელეგრაფის სტანციები გაუმართავს და ამასთანავე განკარგულება მოუხდენია, რომ ამ სტანციებში მოსამსახურეთ არცერთი ქართველი და სომეხი არ დაინიშნას...

ამბობენ, რომ მეორე დიდ კაცს, რომელსაც ერთ დროს თუშური ქუდის დასურვა უყვარდა, თუმცა სურვილი აქვს ერთი რომელიმე აქაური გაზეთის კითხვისათვის, მაგრამ, რადგან ამ გაზეთის რედაქცია მოუთხოვენად არ უგზავნის, ეს დიდი კაცი გაჯავრებულია და თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს, რომ გაზეთი თვითონ მოითხოვოს.

ამბობენ, რომ ერთს ცხრა-მთხ-გადღმა ქვეყანაში ერთი, თუმცა არა დიდი კაცი, მაგრამ დიდ-კაცობის მომლოდინე, უფრო პატარა სულდგმულების გამოჯავრებით, ცალკე, თავის საკუთარ გაზეთის გამოცემას აპირებდა; ფულებიც მოაგროვებდა, რედაქტორიც მონახა, სტამბაც და სხვა.

მაგრამ ბოლოს, რაც უფრო ახლოსა და ახლოს ჰხდებოდა გაზეთის გამოცემის სიძნელეს და აკვირდებოდა თავის ცოტაც არ იყოს სიზანტეს, უფრო და უფრო ნაღვლობდა — თუ რისთვის დავიწყებ ეს საქმე.

ნეტავი ერთი ვინმე მაინც იყოს, რომ ეს გაზეთი თავზე მოვახვიო! ამბობს თურმე ეს დიდ-კაცობის მომლოდინე პირი.

ამბობენ, რომ შუთასში ერთი ვიღაც ქალ-ბიჭა გამოჩენილა, რომელსაც უფაქცევაც სსვანური აქვს და ტანისამოსიც რაღაც სხვა ქვეყნის „მოდის“ აცვია. ისეთ-ნაირად გაწითენილია თურმე ლოტოს თამაშობაში, რომ გამოჩენილი უა ვერ აჯობებს და ვერც კარტის თამაშობაში. მეორე ქუთაისელი ბ. კ.—ე. იქაური ახლგაზღობა ისეთნაირად მიუთესებია, რომ როგორც თავის ბუზი, ისე უხვევია (საუბედუროთ, კორტესპონდენტმა არა გვწერს: მდღერობითი თუ მამრბობითი სქესის ახალგაზღობა მიითვისა, იმ ქალ-ბიჭაზე უფროსი სიძნელე...

ამბობენ, რომ ქ. მ. — ში ერთი ყმა-წვილი კაცი არის თურმე, რომელსაც ქალიან გულდით უნდა, რომ ცოლი შეირთოს... მაგრამ რაღაც ისეთს უბედურ ბედის ვარსკვლავზე დაბადებული ყოფილა, რომ ვისაც კი არ სთხოვდა ცოლობა, ყველამ უარი უთხრა.

მართა ამ ერთი წლის განმავლობაში სამის ქალისაგან მიიღო თურმე უარი... ბოლოს უკანასკნელ უარის მიქმელებზე ისეთნაირად გაჯავრდა თურმე ეს ყმა-წვილი კაცი, რომ შურის-ძიება განიზრახა და კიდევ აასრულა. ეს შურის-ძიებაც შემდეგი იყო: ერთს საღამოს ერთ იქაურ კეთილშობილ ოჯახში შექცევა და „ტანციობა“ იყო; სხვათა შორის ის ქალიც იქ იყო. სხენებულ ვაჟმა სთხოვა ამ ქალსა რომ იმასთან ეტანცენა. ქალიც დათანხმდა; მაგრამ ტანციობის დროს, შუა ზალაში, გაუშვა ხელი თურმე გაქანებულს ქალსა და საშინლად დასცა... მსეც ახალი მოდის შურის-ძიება!...

სიმღერა
ახ, ნეტავი ხანდისხან
შინგლად გარდვიქცეოდე!
გავშლიდე ფრთებს, სისწრაფით
მქვერთან მოფრინდებოდე.

საყვარელი სამშობლოს
ნახვით, ცქერით ვსტებოდე,
მეგობრებს და მოძმეებს
აღერსით ვეხვეოდე!

ხალხის სურვილს და ნატვრას
შურს უგდებდე, ვგებოდე...
მხოლოდ მისთვის და მასთან
მშრომობდე და ვცხოვრობდე!

თვილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახსოვრად)
მრევისის მედანზე, ჩიტაზოვის სახლებში
აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილის 10 საათამდე.
მ. რ. შაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირუ-რიული აგათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიციევი — შინაგანი აგათმყოფობისათვის.

ს. ა. შაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი აგათმყოფობისათვის, მამამ-შვიცი — თვალის ექიმი.

მ. თ. შაბათს: ლისიციევი — შინაგანი აგათმყოფ., მიუჩარინცი — ვენერიული აგათმყოფობისათვის.

ხ. თ. შაბათს: მერმიშვილი შინაგან აგათმყოფობისათვის.

პ. ა. რ. კ. ე. ვ. ს. ლისიციევი და ასათუ-როვი — შინაგანი აგათმყოფობისათვის და მინკიევიჩი — ხირუ-რიული აგათმყოფობისათვის.

როვი — შინაგანი აგათმყოფობისათვის და მინკიევიჩი — ხირუ-რიული აგათმყოფობისათვის.
შაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი აგათმყოფი. მიუჩარინცი — ყურის და ხირუ-რიული აგათმყოფობისათვის და მამამ-შვიცი — თვალის აგათმყოფობისათვის.

ქაქასიის საბავიო ინსტიტუტი
მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარი-ბები უფასოთ მიიღებენ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30-50 მანეთამდე არის.

მიღება აგათმყოფი ქალებისა და ყმა-წვილების.

ქალის აგათმყოფობისათვის:

შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11 მდინ — დოქტორი პანაოვი.

მ. თ. შაბათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მდინ — დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დან 12-მდინ — დოქტორი ალბანუსი.

საყმა-წვილო აგათმყოფობისათვის:

ხეთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ და კვირაობით 10-დან 11-მდინ — დოქტორი შუაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და პანაოვის.

ინსტიტუტთან ახლოდ გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო აგათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში აგათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

მ. რ. შაბათს, 3 იანვარს
თვილისის საზაფხულო თეატრში მართული სცენის მოკვარითაგან წარმოდგენილი იქნება

ქორ-ოლი

მ. თ. მოქმედებიანი კომედია ზ. ანტონოვისა.
წარმოდგენა არის თვილისის საქალებო სასწავლებლების ღარიბ შაგირდების სასარგებლოდ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
გილეთების ყიდვა შეიძლება თეატრის კასირთან უფ. პეტროვსკისთან და წარმოდგენის დღეს თვით თეატრის კასარში. (1-1)

განსხადებანი

იანვარში
და ამ ცოტახანში გამოვა

ლექსები

უფ. იანვარ კასუმოვისა სხვა და სხვა ცხოვრების საგნის შესახებში. (3-2)

LA VELOUTINE

(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.
თანს ეკერება და არა სჩანს.
შ. შაბათს — გამოცემის
pommade satin
(ატლასის პომადა)
ხელების კანის რბილად შესანახად; შამთარში არ დაუტყდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156-93

წალკოტი

თქმული
ღამით ბივივილიისაგან
ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზრებში.

რ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.
თვილისი	9 36	4 54		
მცხეთა			68	38
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23
ხაშური	2	11 10	3 92	2 18
ბეჟათუბანი			4 42	2 46
ქვირილა			5 81	3 23
ქუთაისი	8 23		6 75	3 75
სამტრედია			7 73	4 29
ახ. სენაკი			8 57	4 76
უთოი	11 44		9 75	5 42
უთოი	8 40			
ახ. სენაკი			1 18	6 66
სამტრედია			2 61	1 14
ქუთაისი	11 51		3 41	1 69
ქვირილა			3 98	2 21
ბეჟათუბანი			5 33	2 96
ხაშური	5 41	1 65	5 84	3 24
ბორი	7 23	3 67	7 36	4 9
მცხეთა			9 85	4 1
თვილისი	10 16	7 24	9 75	5 42

ა) შოთილამ მიდის:	მ. კაპ
მდგისიკენ — ხეთშაბათს დილით.	
სტამბოლს — კვირაობით, დილას.	
ბ) მდგისიკენ:	
შოთისკენ — ხეთშაბ., ნასად. ვსაათ.	
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე	
შოთილამ:	I II III
სახუმამდი	4 3 1
მერჩამდი	20 50 15 50 5
ტაგანოვ.	34 27 8 60
მდგისამდი	38 30 9 60

ბ) შოთილამ მიდის:	მ. კაპ
მ. ცი სიტყვა თვილისიდან:	
ქუთაისს, უთოს	1
ბორს, ლუშეთს, სიღნახს	50
როსტოვს მდგისს მოსკოვს	2
პეტერბურგს, მარშავს	2
მსხალეთში, შვეიცარიაში	3
იტალიაში და საფრანკეთში	3 50
ინგლისში	3 75

ა) თვილისი დამ:	მ. კაპ
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	
— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ-ოთხშ., მ. შურგეთს. — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და შაბ. ტანეთს — სამშ. და შაბ.	
ბ) ქუთაისი დამ:	
თვილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	
გ) ბორი დამ.	
შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	
დ) უთილამ:	
შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

პეტერბურგი, 25 დეკემბ.	მან. კაპ
მართა მანეთი ღირს:	
ლონდონში 3 1/2 პენსი.	84
პარიზში 3 3/4 სანტიმი.	89
მსკონტი (სარგებლობისთვის)	7 1/2
ბანკის ბილეთი 5%	93 25
მოგებიანი (მირველისესხი)	179
მოგებიანი (მეორე სესხი)	173 50
ბირაოს ფურცლები:	
თვილ. საზნ. ბანკისა.	
ხერსონის ბანკის (5 1/2)	79 75
მოსკოვის (5%).	81 50

მან. კაპ	მაყანდა	მან. კაპ
	თვილისი, 5 იანვარს	
	პური შორაგალის ფთ.	1 50
	ქვირი ფუთი.	95
	ბამბა მრევისა, ფუთი.	5 20
	— ამერიკისა, ფუთი.	5 60
	ბამბატილი ბამბა ფთ.	8
	მატყლი თუშური ფთ.	6
	— მარაქამისა ფთ.	4 60
	აბრეშუმი ნუბური სტ.	3 20
	ქონი, ფუთი.	4 50
	ქონის სანთელი ფუთი.	5 40
	სტარინის სანთელი, ფ.	12 50
	ხორცი ძროხისა. ლიტ.	65
	— ცხვრისა, ლიტრა.	63
	სპირტი, ვედრო.	6 60
	შაქარი, შროც. ფუთი.	9
	— ფხვნილი ფუთი.	6 40
	შავა გრგვ. ლი, ფუთი.	20
	ხეთი ქუეჯუთისა ფთ.	5 20
	მქოლი 1/2 იმპერიალი.	7 15